

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ფრაქცია

„ოზურგეთელ მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისათვის“ თავმჯდომარის შოთა გოგიბერიძის 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში

როგორც საკრებულოს წევრმა, ფრაქციის თავმჯდომარემ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პ.გ. საქართველოს პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენელმა აქტიური და მიზან მიმართული საქმიანობა ჩავატარე 2018 წლის განმავლობაში. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში ვესწრებოდი საკრებულოს ყველა სხდომას, საკრებულოს ბიუროს ყველა სხდომას სადაც ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით ვაფიქსირებდი პრინციპულ პოზიციებს. საკრებულოს უმრავლესობასთან, უმცირესობასთან, დამოუკიდებელ დეპუტატებთან ინტერაქტიულ რეჟიმში ვსაქმიანობდი. ძირითადი აქცენტები, რა თქმა უნდა, სოციალურ თემატიკაზე კეთდებოდა. კერძოდ უპირველესი საკითხი, რომელიც გავაჟღერე გახლდათ ომისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში მონაწილეთათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადი, 100 ლარიანი დახმარების გამოყოფის თაობაზე დაფიქსირებული წინადადება. საერთო ჯამში 700 -ამდე ვეტერანი 70 000 ლარის დახმარებას მიიღებდა. თუმცა სამწუხაროდ, აღნიშნული ინიციატივა დღემდე ვერ განხორციელდა და ის ხელმეორედ იქნა ინიცირებული 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას. იმედი გვაქვს 2019 წელში შარშანდელი ნაშთების ასახვის შემდეგ გახდება შესაძლებელი ამ ინიციატივის შესრულება.

აგრეთვე ჩემი, როგორც დეპუტატის ერთ-ერთი პირველი ინიციატივა გახლდათ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მომუშავე პერსონალისათვის, აღმზრდელ-პედაგოგებისათვის სახელფასო განაკვეთის გაზრდის შესახებ დაფიქსირებული წინადადება. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ ეს ინიციატივა წლების განმავლობაში ფიქსირდებოდა თვით საკრებულოს უმრავლესობის, ანუ მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა მიერ. მაგრამ მიუხედავად მათი დაჟინებული მოთხოვნისა, ამ მოთხოვნაზე მერიის საფინანსო სამსახურების თანხმობისა-და ზოგადად საკრებულოს მთელი შემადგენლობის მოწადინებისა ამ საკითხის გადაწყვეტა დღემდე ვერ მოხერხდა. აქედან დასკვნა, რომ თვითმმართველობის შესახებ კანონმდებლობაში უამრავი ხარვეზია, რომ რეალური თვითმმართველობა ქვეყანაში არ არსებობს, ისევ მაღალია ცენტრალიზაციის ხარისხი და ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურებთან შეთანხმების გარეშე, ქვეყნის მმართველ პოლიტიკურ გუნდში შესაბამისი პოლიტიკური ნების გამოხატვის გარეშე თვითმმართველობის დონეზე ვერცერთი გლობალური საკითხი ვერ გადაწყდება.

გარდა ზემოთაღნიშნულისა ჩემი სადეპუტატო საქმიანობის განხორციელების ფარგლებში მონაწილეობას ვიღებდი მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული კომისიის საქმიანობაში, რომლის თავმჯდომარის ე.გორდელაძის ინიციატივით დავინიშნე აგრეთვე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოქალაქეობის დამდგენ საორგანიზაციო კომისიის წევრად. ზემოთაღნიშნულ ორივე კომისიაში აქტიურად ვიყავი ჩართული და ყველა სხდომაში ვიღებდი მონაწილეობას.

აღსანიშნავია ჩემი ძალისხმევა უმრავლესობის ფრაქციის მიერ ინიცირებული „საკრებულოს წევრის ეთიკის კოდექსის“ შემუშავების მცდელობაში. მივესალმებოდი ამ ინიციატივას და შესაბამის კომისიას არა ერთი მნიშვნელოვანი და საგულისხმო წინადადება

შევთავაზე, რომელთა უმრავლესობა იქნა კიდევ გათვალისწინებული. სამწუხაროდ ამ კოდექსის შემუშავების პროცესი შეაჩერა 2018 წელს ქართული ოცნებისა და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს შორის მომხდარმა ფიზიკურმა დაპირისპირებამ, რასაც, საზოგადოებრივი აჟიოტაჟიც მოჰყვა. სწორედ ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ ეთიკის კოდექსი, რომელიც საყოველთაო კონსენსუსის საფუძველზე იქნება მიღებული-ერთგვარ პრევენციულ სივრცეს შექმნის მსგავსი კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით და საკრებულოში ურთიერთობებს კონფლიქტური დაპირისპირებების რეჟიმიდან საქმიან და კონსტრუქციულ რეჟიმში გადაიყვანს, რაც საბოლოოდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა და ჩვენს ამომრჩველთა ინტერესებისათვის გაცილებით პროდუქტიული იქნება. ამიტომაც მოვუწოდებ საკრებულოს უმრავლესობას გააგრძელოს ეთიკის კოდექსზე მუშაობა საბოლოო დოკუმენტის მიღებამდე.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, როგორც კონკრეტული ფრაქციის „ოზურგეთელ მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისათვის“ თავმჯდომარე აქტიურ საქმიანობას ვეწეოდი ფრაქციის ფარგლებში. კერძოდ: ჩემი ინიციატივით საანგარიშო პერიოდში ჩატარებული იქნა აღნიშნული ფრაქციის 17 სხდომა, რომელთა უმეტესობა ჩატარებულ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილებების შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებების ფარგლებში, აღსანიშნავია, რომ ფრაქციის მიერ შესაბამისი დასკვნები მიუწოდებოდა საკრებულოს ხელმძღვანელობას, მერიის ხელმძღვანელობას, საკრებულოსა და მერიის შესაბამის კომისიებსა, ფრაქციებსა და სამსახურებს.

ასევე აღსანიშნავია ჩართულობა ქვეყანაში და რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. გამომდინარე იქედან, გახლავართ პ.გ. საქართველოს პატრიოტთა ალიანსის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, 2018 წელს აქტიურად ვიყავი ჩართული საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში. აღნიშნული არჩევნების ორივე ტურში ჩემმა პარტიამაც, ჩემს მიერ ინიცირებულმა ე.წ. თორმეტიანელთა ადგილობრივმა გუნდმა, ასევე ამ გუნდთან დაკავშირებულმა ომის ვეტერანთა დიდმა ჯგუფმა თითქმის მთელი საარჩევნო მართონის პერიოდში ვიბრძოლეთ ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის მხარდასაჭერად.

გარდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებისა დიდი ადგილი ეთმობოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლეთან, ამომრჩევლებთან და კერძოდ სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველ ადამიანებთან ურთიერთობას, რის შედეგადაც ამ მოქალაქეებს ეძლეოდათ რეკომენდაცია საკრებულოსა და მერიის შესაბამისი სტრუქტურების წინაშე. კმაყოფილებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ რეკომენდირებული 46 განცხადებიდან დაკმაყოფილებულ იქნა თითქმის 50 %, ხოლო დანარჩენებს მიეცათ მოტივირებული პასუხები. ამ მიმართულებით კვლავაც გაგრძელდება აქტიური საქმიანობა.

იმედს გამოვთქვამთ, რომ დეპუტატების ანგარიშებში წარმოდგენილი მოსაზრებები და დასკვნები გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მომავალ საქმიანობაში.

საკრებულოს წევრი შ.გოგიბერიძე

31 იანვარი 2019 წელი